ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 11

ქ. ლანჩხუთი **19.11.2026 წელი**

14:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: დარეჯან ბურჭულაძე, ნინო მშვიდობაძე, ლოლიტა ურუშაძე, ივანე ებრალიძე, ვარლამ ჩხარტიშვილი, გელა პატიეშვილი, თენგიზ ხუხუნაიშვილი, ირაკლი ტოროტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: ელისო ჭიჭინაძე, რევაზ კვერენჩხილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორი **ვალერიან წულაზე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

დამატებითი საკითხი:

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

6. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** და აღნიშნა, რომ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ 17 წლის ასაკის ჩათვლით მოსწავლეები მუნიციპალური ტრანსპორტით იმგზავრებენ უფასოდ. მისი თქმით, ძალიან კარგი იქნება, თუ, რესურსცენტრთან მოხდება მოლაპარაკება და ბავშვებს დაურიგდებათ სამგზავრო ბარათები.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის შესახებ საკითხი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის საბიუჯეტო შემოსულობებმა შეადგინა 43 102 300 ლარი, მათ შორის, გადასახადები-14 834 700 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 12 887 200 ლარი; შემოსავლები მიღებულია 31 257 700 ლარი. მათ შორის, დამატებითი ღირებულების სახით მიღებულია 12 076 847 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 13 535 800 ლარი. აქედან, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 2639 230 ლარი.

2026 წლის ცხრა თვეში გაწეული იქნა 21 307 200 ლარის ხარჯი. მათ შორის - შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 7 056 300 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 7 269 600 ლარი, არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 11 884 600 ლარი, საიდანაც ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მიმართულია 15 595 992 ლარის ფარგლებში. სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებზე მიმართულია 1 119 723 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2026 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულები სრულად არის დაფინანსებული.

კომისიის წევრების მიერ აღნიშნული საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვეში შემოსავლებმა შეადგინა 3 084 687 ლარი. აქედან, გადასახადების სახით მიღებულია 1 526 731 ლარი, დამატებითი ღირებულება -1 523 724 ლარი. გრანტების სახით მიღებულია 1 138 280 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 419 670 ლარი; აქედან, ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 350 057ლარი.

საანალიზო თვეში გაწეული იქნა 3 972 398 ლარის საკასო ხარჯი. აქედან მიმდინარე ხარჯებმა შეადგინა 2 080 758 ლარი. მათ შორის, შტატით მომუშავეთა შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 765 056 ლარი; საქონელი და მომსახურების მუხლზე მიმართულია 957 117 ლარი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ღონისძიებებზე 151 297 ლარი; ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 1 911 640 ლარი.

კომისიის წევრების მიერ აღნიშნული საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და აღნიშნა, რომ დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2027 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს. მისი თქმით, საფინანსო სამსახურთან ერთად ყველა ა(ა)იპ-ისა და შპს-ს წარმომადგენლებმა, მუნიციპალიტეტის მერის მონაწილეობით, ერთობლივად იმუშავეს 2027 წლის ბიუჯეტის პროექტზე და განხილული იქნა ყველა საბიუჯეტო პატამეტრები.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2027-2030 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის (2027 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

კანონპროექტის თანდართული მასალები) მიხედვით 2027 წლისთვის ნომინალური მ შ პ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 8,9 პროცენტით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განსაზღვრულია 34 519 900 ლარით, რაც გასულ წელთან შედარებით 5 829 737 ლარით მეტია. შემოსავლების სახით განსაზღვრულია 28 191 300 ლარი, რაც ასევე, 2 453 930 ლარით მეტია, ვიდრე გასულ წელს.

2027 წლის პროგნოზით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21148,5 ათას ლარს შეადგენს. 2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2027 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 2772,1 ათასი ლარით (15,1%-ით).

2027 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

-დამატებითი ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 17848,5 ათასი ლარით;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 10.3%-ით (1672,1 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს, ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

-ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3300,0 ათას ლარს;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 50%-ით (1100,0 ათასი ლარით) იზრდება.

2027 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- გრანტების სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 3647,3 ათასი ლარამდე, მათ შორის:
- სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 3647,3 ათასი ლარი;

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 3,395.5 ათასი ლარით. მათ შორის:

- შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 225,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:
- პროცენტები 80,0 ათასი ლარი.
- რენტა 145,0 ათასი ლარი;

2026 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები 1,1% (1,5 ათასი ლარით) მცირდება. შემცირება გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის შემცირებით ვინაიდან, ბუნებრივი რესურების მოპოვებაზე გაცემულია ნაკლები ლიცენზია.

- შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 160,0 ათასი ლარის ოდენობით.

შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 2910,5 ათასი ლარის ოდენობით.

ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული, განსაზღვრულია 100,0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების კლების (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხების გეგმა შეადგენს 4424,6 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 34519,9 ათას ლარს (2026 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 7969,9 ათასი ლარით).

2027 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ასახულია დამატებითი ხარჯები, მათ შორის, თანამშრომელთა ხელფასების ზრდა კარიერული სქემის შესაბამისად.

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 26,837.6 ათასი ლარით. მათ შორის:

შრომის ანაზღაურება-10,886.2 ათასი ლარით;

საქონელი და მომსახურება-11,683.4 ათასი ლარით;

სუბსიდიები-1,878.2 ათასი ლარით;

სოციალური უზრუნველყოფა-1,850.3 ათასი ლარით.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თქმით, ავტობუსის ერთი ერთეულის შეძენა შესაძლებელია მოხდეს მიმდინარე წლის ბოლომდე, ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტის ფარგლებში მოხდება ალუმინის სცენის შეძენა.

კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერსა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს გაწეული შრომისთვის და აღნიშნა, რომ ბიუჯეტში გათვალისწინებულია ყველა ის ხარჯი, რაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნორმალური ცხოვრებისთვის არის აუცილებელი და ის დადებითად აფასებს 2027 წლის ბიუჯეტის პროექტს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა** ისაუბრა იმ სოციალური პროგრამების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს 2027 წელს. ესენია:

შ.შ,მ პირთა დახმარების პროგრამა -177,0 ათასი ლარი;

მრავალშვილიანი ოჯახების და მესამე და მომდევნო ახალშობილზე დახმარების პროგრამა-65,0 ათასი ლარი;

სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 330,0 ათასი ლარი

სარეაბილიტაციო ცენტრ "იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა-20,0 ათასი ლარი;

მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა- 25,0 ათასი ლარი

მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა- 190,0 ათასი ლარი

მოწყვლადი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა(პროგრამა აერთიანებს 110,0 ათასი ლარი

ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა -55,0 ათასი ლარი

მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა -145,0 ათასი ლარი

ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა 80,0 ათასი ლარი

მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარების, ასევე სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა -67,0 ათასი ლარი

აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა -255,0 ათასი ლარი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა 318,0 ათასი ლარი

რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა -65,0 ათასი ლარი

დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა-15,0 ათასი ლარი.

შემდეგ **თამარ ფირცხალაიშვილმა** ისაუბრა ახალი პროგრამის შესახებ, რომელიც ეხება დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკურ გამოკვლევას, რაც გულისხმობს 1 კლასიდან 4 კლასის ჩათვლით მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე მეტად გავრცელებული პათოლოგიების, კერძოდ - ჰიპერაქტიურობა, თვალის პეთოლოგიისა და სქოლიოზის დაავადებათა აღმოჩენა. პროგრამა განხორციელდება როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში. პროგრამის დაწყების წინ მუნიციპალიტეტი მიმართავს რესურსცენტრს, რათა მოხდეს საინფორმაციო კამპანიის ჩატარება. საჭიროა მშობლის თანხმობა კვლევის ჩასატარებლად და აუცილებელია დაცული იყოს პერსონალური მონაცემები. მომსახურების შესყიდვა უნდა მოხდეს მუნიციპალიტეტის მიერ ტენდერის საშუალებით

და გამარჯვებული კომპანია ვალდებულია მივიდეს სკოლაში, სადაც დარგის სპეციალისტების, კერძოდ, ნევროლოგის, პედიატრისა და ოფთალმოლოგის მიერ მოხდება ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება. ექიმების გადამზადება განხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **მაია ლომთაძე** დაინტერესდა, რა კუთხით იყო ყველაზე მეტი მომართვიანობა სოციალურ სამსახურში, რაზეც **თამარ ფირცხალაიშვილმა** უპასუხა, რომ ყველაზე მეტი მომართვიანობა იყო ოპერაციული ხარჯების დასაფარად, ასევე აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციაზე. მისი თქმით, ოპერაციული ხარჯის დაფინანსება ხდება 1000 ლარით, რომლის ლიმიტი არ არის დაწესებული და საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარს შეუძლია წლის განმავლობაში კიდევ მოითხოვოს ოპერაციული ხარჯის დაფინანსება.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტი დადებითად იქნა შეფასებული.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა.** მისი თქმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს განცხადებით მომართა შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“ ს დირექტორმა ზურაბ ოქროპირიძემ, რომლითაც ითხოვს ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ გრიგოლეთში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ27.15.42.898) გადაცემას პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობით, 20 წლით. „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22 -ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტების მიხედვით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით, აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა, იჯარა, თხოვება, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადას განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, ამავე დადგენილების 24-ე მუხლის 1, 2 და 4 პუნქტებით მუნიციპალიტეტის ქონების უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვების ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით სარგებლობის უფლებით გადაცემა ითვალისწინებს ფიზიკური, საჯარო ან/და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემას, მუნიციპალიტეტის ქონების უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვებისა ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმით გადაცემის ინიციატორი სათანადო განაცხადს წარუდგენს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს ან

მუნიციპალიტეტის ქონების მმართველს. მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის ქონების მმართველი, აღნიშნული საკითხის განხილვის შემდგომ იღებს გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, უზუფრუქტის, აღნაგობის, ქირავნობის, იჯარის, თხოვების ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსა და მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს შორის ფორმდება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე შესაბამისი ხელშეკრულება (შემდგომში - სარგებლობის ხელშეკრულება) ამავე დადგენილების 36 - ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, შპს „ფეხბურთის კლუბი ლანჩხუთის გურია“-ს გადაეცეს ლანჩხუთის მუნციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ გრიგოლეთში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.15.42.898) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი აღნაგობით, 20 წლით, თანდართული აღნაგობის ხელშეკრულების პროექტით გათვალისწინებული პირობებით.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** მადლობა გადაუხადა ლანჩხუთის სატრანსპორტო კომპანიის დირექტორს **ვალერიან წულაძეს** მობრძანებისთვის და აღნიშნა, რომ ახალი ხელმძღვანელი ენერგიულად ჩაუდგა კომპანიას სათავეში და წარმატებები უსურვა მას. შემდეგ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ ქალაქში, სამსახურების წინ რამდენიმე საპარკინგე ადგილი დახაზული იქნება თეთრად, რაზეც **ვალერიან წულაძემ** უპასუხა, რომ სამსახურების წინ არის განსაკუთრებული ადგილი თანამშრომლებისთვის, რომელიც დახაზულია ყვითლად, მაგრამ არ არის ტაქსებისთვის განკუთვნილი. შემდეგ მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ აღნიშნული კანონი ამოქმედდება მას შემდეგ, როცა მიიღებენ ლიცენზიას და სამხარაულის ექსპერტიზა დაადგენს კვადრატული მეტრი მიწის ფასს. მას იმედი აქვს, რომ დაჩქარებული წესით მისცემენ ლიცენზიას და ახალი წლისთვის ამოქმედდება აღნიშნული კანონი. მისი თქმით, სამსახურში შეიქმნება ახალი განყოფილება, იქნება რამდენიმე კონტროლიორი ქალაქში, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დაწერს ჯარიმის ქვითარს.

კომისიის წევრი **ნინო მშვიდობაძე** დაინტერესდა, სამგზავრო ტარიფის გაზრდა ხომ არ იგეგმება, რაზეც **ვალერიან წულაძემ** უპასუხა, რომ საწვავის ფასის ზრდასთან ერთად კარგი იქნება თუ მოხდება ტარიფის გაზრდა 50 თეთრით მაინც, მაგრამ ამ ეტაპისთვის ეს არ მოხდება, რადგან საზოგადოება ცუდად მიიღებს მსგავს გადაწყვეტილებას. შემდეგ მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ სულ მუნიციპალიტეტში მოძრაობს 5 ავტობუსი, ხოლო რაც შეეხება რეისს აგარაკი-მაჩხვარეთის მიმართულებით, რომელსაც მიკროავტობუსი ემსახურება, დღის განმავლობაში დაახლოებით გადაჰყავს 120 მგზავრი.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის **მაია ლომთაძის** აზრით, სამგზავრო ტარიფის მომატებას ჯობია შემცირდეს დაწესებული რეისების რაოდენობა.

კომისიის წევრმა **გელა პატიეშვილმა** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ მოხდება მიკროავტობუსების შემოყვანა და ქვედა მამათში, სადაც გზა არის მოწესრიგებული, მოხდება 1 რეისის დანიშნვა ამ მიმართულებით, რაზეც **ვალერიან წულაძემ** უპასუხა, რომ დაათვალიერებს ტერიტორიას და შეძლებისდაგვარად დადებითად გადაწყდება საკითხი.

კომისიის წევრმა **თენგიზ ხუხუნაიშვილმა** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა გურიის ჩემპიონატი ჭადრაკში, სადაც 50 საუკეთესო მოჭადრაკე იყო წარმოდგენილი. ტურნირის გამარჯვება მოიპოვა 11 წლის მოზარდმა ოზურგეთიდან. მისი თქმით, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია დაინტერესებულია ხელი შეუწყოს ტურნირის გამარჯვებულს კარიერულ წინსვლაში.

კომისიის წევრის, **ვარლამ ჩხარტიშვილის** იდეაა, საფეხბურთო აკადემიას მიენიჭოს გიორგი ნემსაძის სახელი, რასაც კომისიის ყველა წევრმა დაუჭირა მხარი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და
ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №11 სხდომის
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **19.11.2026 წ.**

2026 წლის 19 ნოემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

დამატებითი საკითხი:

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით გადაცემაზე

მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

6. სხვადასხვა საკითხები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფებისა და შეღავათების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 25 ივნისის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

აღნიშნული საკითხი კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ოქტომბრის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

აღნიშნული საკითხი კომისიის წევრების მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2027 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით პირობიანი სარგებლობის უფლებით - აღნაგობის ფორმით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 9; წინააღმდეგი არც ერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

19.11.2026 წელი
14:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი - კომისიის თავმჯდომარე	13:45	
2. ნინო მშვიდობაძე	14:00	
3. დარეჯან ბურჭულაძე	14:00	
4. ლოლიტა ურუშაძე	14:00	
5. ელისო ჭიჭინაძე	არ ესწრება	
6. რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრება	
7. ივანე ებრალიძე	13:55	
8. ვარლამ ჩხარტიშვილი	13:50	
9. გელა პატეიშვილი	13:49	
10. ირაკლი ტოროტაძე	13.55	
11. თენგიზ ხუხუნაიშვილი	13:48	